

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის
განვითარების 2014 – 2017 წლების
სტრატეგიული გეგმა

შინაარსი

შესავალი	3
ტექნოლოგიური გამოწვევები საჯარო ფინანსების სფეროში	4
IT აუდიტის მიზანი.....	Error! Bookmark not defined.
სტრატეგიული მიზნები.....	7
IT აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის მომზადება და განვითარება.....	8
IT აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა	14
IT აუდიტორების მოზიდვა და კადრების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა.....	11
IT აუდიტისათვის სრულყოფილი ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ბაზის შექმნა და განვითარება	13
სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება ინოვაციების შემუშავების და დანერგვის პროცესში	15
სას-ის ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა	16

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სახელმწიფო უწყებებისა და სერვისების უდიდესი ნაწილი, მათი მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად შესასრულებლად, დამოკიდებული გახდა კომპიუტერულ სისტემებზე. აღნიშნულ სისტემებში ინფორმაციის შენახვის, დამუშავებისა და უსაფრთხოების საკითხები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საჯარო უწყებათა ფინანსური მონაცემების სიზუსტესა და დაცულობაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელია სათანადოდ იქნას შესწავლილი და შეფასებული ის საინფორმაციო-ტექნოლოგიური გარემო, რომელშიც საჯარო უწყებები ახორციელებენ ძირითად საქმიანობას. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ გარემოში საჭირო ხდება საინფორმაციო-ტექნოლოგიების აუდიტის ჩატარება IT სისტემების ფუნქციონირების სანდოობისა და გამართულობის შესახებ გონივრული რწმუნების მოსაპოვებლად.

სას-ი აცნობიერებს პასუხისმგებლობას საჯარო სექტორის ელექტრონული სერვისების გამჭვირვალედ და ეფექტიანად ფუნქციონირების/მართვის ხელშეწყობის პროცესში და გეგმავს IT აუდიტის დანერგვასა და შემდგომ განვითარებას. საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის ხელს შეუწყობს, როგორც ფინანსური და შესაბამისობის აუდიტებით მიღებული შედეგების გაუმჯობესებას, ასევე, საჯარო სექტორის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში სას-ის როლის გაზრდას.



ტექნოლოგიური გამოწვევები საჯარო ფინანსების სფეროში და IT აუდიტი

სახელმწიფო ელექტრონულ სერვისების, მონაცემთა ბაზებისა და ელექტრონული სისტემების განვითარება კომპლექსურს ხდის უწყებათაშორის ქსელებს და სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაბამის ღონისძიებებს. სახელმწიფო სერვისების განვითარება, გამარტივებული წვდომის მინიჭება და სერვისების მომხმარებელთა წრის გაზრდა, საჯარო სექტორის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის შენარჩუნებასთან ერთად, სახელმწიფოსთვის წარმოადგენს ახალ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ გამოწვევას. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ სას-ის ახალი აუდიტორული მიმართულება ხელს შეუწყობს სახელმწიფო სერვისების განვითარებას და საზოგადოებისთვის უსაფრთხო და ეფექტურ მიწოდებას.

მონაცემთა ბაზების, უწყებათაშორისი ქსელებისა და ინფორმაციის გაცვლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან დამატებით

რესურსებს მოითხოვს. რესურსების რაციონალური გამოყენება წარმოადგენს სახელმწიფო სექტორის პროდუქტიულობის გაზრდის ერთ-ერთ ფაქტორს. სას-ი IT აუდიტით ხელს შეუწყობს სახელმწიფო უწყებებს ტექნოლოგიებისა და სერვისების უკეთესი გამოყენების გზით უზრუნველყონ მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგების მიღწევა.

მოქალაქეთა პირადი და კომერციული ინფორმაციის შემცველმა ერთიანმა მონაცემთა ბაზებმა და ქსელებმა წარმოშვა კიდევ ერთი ახალი გამოწვევა ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით. აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროებისა და გარეშე პირებისათვის ხელში ჩავარდნის საფრთხესთან ერთად, გამოწვევად რჩება კატასტროფის შემთხვევაში მონაცემების ერთიანად განადგურების რისკიც. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციებით ხელს შეუწყობს საჯარო სექტორში მონაცემთა შენახვისა

და გაცვლის უფრო უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას.

აღნიშნულ გამოწვევებთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ საინფორმაციო სისტემები წარმოადგენს ყველაზე ინოვაციურ და სწრაფად განვითარებად მიმართულებას, მათ შორის საჯარო სექტორშიც. ახალი ტექნოლოგიური რისკები და გარემოს სწრაფი ცვლილებები კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ელექტრონული სერვისების მიმწოდებელ უწყებებს, უზრუნველყონ მონაცემთა უსაფრთხო და მაქსიმალურად ეფექტური მიწოდება მოქალაქეებისათვის. სახელმწიფო აუდიტის სამსახური თანამედროვე აუდიტორული მიდგომით, ხელს შეუწყობს საჯარო სექტორში ტექნოლოგიური ინოვაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების დანერგვას.

სწორედ აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა IT აუდიტის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს ახლებურ მიდგომებს საჯარო სექტორის აუდიტის პროცესში. წინამდებარე გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს სას-ის სტრატეგიული განვითარების 2014 – 2017 წლების გეგმის ფარგლებში დასახული, IT

აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდის, სტრატეგიული მიზნის შესაბამის დოკუმენტს. დოკუმენტის მიზანია დროულად და მოქნილად ვუპასუხოთ საჯარო სექტორში არსებულ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ გამოწვევებს.

IT აუდიტი მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების (სისტემების) ინფრასტრუქტურაში დანერგილი სისტემის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის შემოწმებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის ჩატარებით მიზნად ისახავს საჯარო სექტორში არსებული სისტემური და ტექნოლოგიური რისკების იდენტიფიცირებას და მათზე შესაბამის რეაგირებას. IT აუდიტით მიღწეული შედეგები ხელს შეუწყობს სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებას, მათი უსაფრთხოებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდას. ახალი ტიპის აუდიტით სას-ი:

- უზრუნველყოფს საინფორმაციო-ტექნოლოგიების სფეროში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საჯარო სექტორისათვის გაზიარებას;
- სახელმწიფო უწყებებში საინფორმაციო სისტემების,

ინფორმაციული უსაფრთხოებისა, მონაცემთა ბაზებისა და ქსელების აუდიტს;

- სახელმწიფო ელექტრონული სერვისებისა და მონაცემთა გაცვლის კომპლექსური სისტემების აუდიტს;

- აუდიტორული საქმიანობის რისკებზე დაფუძნებული მიდგომით დაგეგმვისა და აუდიტის პოტენციური თემების შერჩევის პროცესის გაუჯობესებას.

ამასთანავე, ახალი აუდიტორული მიმართულება მიზნად ისახავს ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტების შედეგების

გაზრდასაც. IT აუდიტის მეშვეობით შესაძლებელია, შეფასდეს სახელმწიფო უწყებების საინფორმაციო სისტემების გარემო, რომელსაც გავლენა აქვს ორგანიზაციის ფინანსური მონაცემების სწორ ასახვასა და ბუღალტრული ჩანაწერების სანდოობაზე. აუდიტი შესაძლებელს გახდის, შეფასდეს უწყების IT სისტემის უსაფრთხოების დონის შესაბამისობა მარეგულირებელ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სას-ი საინფორმაციო-ტექნოლოგიების აუდიტის მეშვეობით უზრუნველყოფს არსებული IT სისტემის ფუნქციონირების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის შეფასებას.

სტრატეგიული მიზნები

სას–ის საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს გრძელვადიან მიზნებსა და მათ შესაბამის ამოცანებს, რომლებიც დაეხმარება სამსახურს IT აუდიტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესში. ამასთანავე, აღნიშნულ გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით სას–ი უზრუნველყოფს ყოველწლიური ოპერაციული/სამოქმედო გეგმების შედგენას, რაც უზრუნველყოფს სამომავლო აქტივობების დაკონკრეტებასა და აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების დაგეგმვის პროცესს.


სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2014 – 2017 წლებისათვის ჩამოაყალიბა ექვსი სტრატეგიული მიზანი:

- IT აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის მომზადება და განვითარება;
- IT აუდიტორების მოზიდვა და კადრების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- IT აუდიტისათვის სრულყოფილი ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ბაზის შექმნა და განვითარება;
- IT აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა;
- სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება ინოვაციების შემუშავების და დანერგვის პროცესში;
- სას–ის ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა IT ინოვაციების დანერგვის მიმართულებით.

თითოეული სტრატეგიული მიზნის ქვეშ განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანები, რომელიც მოიცავს კონკრეტულ საქმიანობებსა და ინიციატივებს, რომლებიც გაწერილია 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმებში. მათ განხორციელებით IT აუდიტის საკოორდინაციო ჯგუფი უზრუნველყოფს ძირითადი ამოცანებისა და მიზნების შესრულებას.

სტრატეგია ითვალისწინებს იმ ინფორმაციისა და რესურსების კონსოლიდაციას, რომელიც ხელს შეუწყობს ნაკლები რესურსების გამოყენებით, დასახული სტრატეგიული მიზნების ეფექტიან და კოორდინირებულ განხორციელებას.

სტრატეგიული გავნითარების მიზნები და შესაბამისი ამოცანები 2014–2017 წლებისთვის



1. IT აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის მომზადება და განვითარება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის განვითარების ფარგლებში გეგმავს აუდიტის შესაბამისი მეთოდოლოგიური ბაზის მომზადებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მოხდება IT აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც დაეფუძნება ISSAI-ს საერთაშორისო სტანდარტებს, სას-ისა და სხვა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების IT აუდიტის პრაქტიკულ გამოცდილებას. აღნიშნული მეთოდოლოგია გახდება საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტორთა სახელმძღვანელო და გზამკვლევი აუდიტის ჩატარების პროცესში.

აღნიშნული მიზნის ქვეშ, სას-ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს IT აუდიტის მეთოდოლოგიური და საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკის შექმნა, რომელიც გააერთიანებს როგორც უახლეს წიგნებსა და IT საინფორმაციო ჟურნალებს, ასევე, ელექტრონულ სახელმძღვანელოებს. ამ ამოცანის ფარგლებში, საუკეთესო სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, იგეგმება IT აუდიტის ქართულენოვანი გზამკვლევებისა და პუბლიკაციების მომზადება. შექმნილი ბიბლიოთეკით შესაძლებელი გახდება საინფორმაციო სისტემების აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის მუდმივი განვითარება და მსოფლიოში არსებული სიახლეებისა და აუდიტორული მიდგომების შესახებ ახალი ინფორმაციის მიღება. ამასთანავე, სას-ის მიზნია მსოფლიოს წამყვან ელექტრონულ აუდიტორულ ბიბლიოთეკებსა და ფორუმებში გაწევრიანება, რაც თანამედროვე მეთოდოლოგიურ და საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოებთან წვდომის საშუალებას მოგვცემს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური IT აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის მომზადებისა და განვითარების ფარგლებში გეგმავს ტრენინგ მოდულის მომზადებას IT აუდიტის მიმართულებით. აღნიშნული კურსი ორიენტირებული იქნება აუდიტორებისათვის საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების ანალიზისა და IT აუდიტის უნარ-ჩვევების

სტრატეგიული ამოცანები:

1.1 IT აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავება;

1.2 IT აუდიტის სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკის შექმნა;

1.3 IT აუდიტის ტრენინგ მოდულების მომზადება;

გამომუშავებაზე. ტრენინგ მოდულის პრაქტიკაში დანერგვა ხელს შეუწყობს სას-ის აუდიტორების გადამზადებას აღნიშნული მიმართულებით და მათთვის ახალი კომპეტენციების განსაზღვრას. გარდა ამისა, ამოცანის მიზანია, გაუადვილოს მიღებულ კადრებს IT აუდიტის მიდგომების ათვისება.

სტრატეგიული ამოცანები:

2.1 სამსახურში IT აუდიტორების მოზიდვა და შენარჩუნება;

2.2 IT აუდიტორების დატრენინგება თანამედროვე აუდიტორულ პროგრამებში;

2.3 IT აუდიტორთა საერთაშორისო სერტიფიცირება;

2. IT აუდიტორების მოზიდვა და კადრების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა

სტრატეგიული განვითარების გეგმაში დასახული მიზნების მისაღწევად სას-ი გეგმავს საუკეთესო IT სპეციალისტების მოზიდვასა და მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობას. ამ მიმართულებით გადადგმული თითოეული ნაბიჯი ხელს შეუწყობს სამსახურის IT აუდიტის შესაძლებლობების განვითარებას, ამასთანავე, სანიმუშო ორგანიზაციად ჩამოყალიბების პროცესს.

სას-ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს IT აუდიტის სპეციალისტების მოზიდვა და შენარჩუნება. აღნიშნული მიმართულებით ორგანიზაცია გეგმავს საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის საკოორდინაციო ჯგუფის ჩამოყალიბებას და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებას. ამ ამოცანის მიზანია, როგორც კომპეტენტური სპეციალისტების მოძიება შრომის ბაზარზე, ასევე, სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და მათი წარჩინებული სტუდენტებისათვის სტაჟირების პროექტების შეთავაზება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის სტრატეგიული განვითარების 2014–2017 წლების გეგმა მიზნად ისახავს არსებული კადრების

პროფესიული ზრდის ხელშეწყობას. მიზნის ფარგლებში დაგეგმილია IT აუდიტორების დატრენინგება COBIT-ის, CAATs-ის, IDEA Data Analysis Software-ის და სხვა მონაცემთა ბაზების ანალიზისა და თაღლითობის აღმოსაჩენ წამყვან IT აუდიტის ტექნიკებში. ასევე, დაგეგმილია COBIT-ის გადასამზადებელ კურსებში თანამშრომელთა აქტიური ჩართვა. აღნიშნული ხელს შეწყობს არსებული კადრების კომპეტენციების გაღრმავებას და მათ პროფესიულ განვითარებას.

სას–ი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით გეგმავს მათი საერთაშორისო სერტიფიცირების პროცესის მხარდაჭერას. მიზნის მისაღწევად დაგეგმილია IT აუდიტორების მომზადება საერთაშორისო სერტიფიკატების მისაღებად, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის აუდიტორული შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და IT აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდას. სას–ი გეგმავს ხელი შეუწყოს აუდიტორებს IT სფეროს აუდიტისა და კონტროლების მართვის სერტიფიკატების მოპოვებაში, კერძოდ

- **ISACA's Certification:** ISACA's (საინფორმაციო სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაცია) მსოფლიოში აღიარებული IT აუდიტის სერტიფიკატები მოპოვება, რომლებიც ითვლება IT აუდიტის სფეროს ერთ–ერთ უმაღლეს სასერტიფიკატო პროგრამად. აღნიშნული პროგრამა მოიცავს საინფორმაციო სისტემების აუდიტორის, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის და საინფორმაციო სისტემების რისკებისა და კონტროლების მართვის სერტიფიკატებს.
- **Certified Information Systems Security Professional (CISSP):** ინფორმაციული უსაფრთხოების პროფესიული სერტიფიკატი, რომელიც გაიცემა საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების საერთაშორისო კონსორციუმის (ISC) მიერ და წარმოადგენს ინფორმაციული აქტივების უსაფრთხოებისა და მართვის საკითხებში აუდიტორთა კომპეტენციის განმსაზღვრელ ერთ–ერთ მნიშვნელოვან სერტიფიკატს.
- **Microsoft Certified Systems Engineer (MCSE):** Microsoft'-ის სასერტიფიკატო კურსი, რომელიც მიზნად ისახავს სპეციალისტებისათვის მონაცემთა ბაზებისა და სერვერული მოწყობილობების მართვის საკითხებში კვალიფიკაციის ამაღლებას.
- **CISCO Career Certification:** Cisco-ს ქსელური აკადემიის სასერტიფიკატო კურსები, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე კომპიუტერული ქსელების სფეროში სერტიფიცირების ერთ–ერთ ყველაზე პოპულარულ და აღიარებულ პროგრამას.

3. IT აუდიტისათვის სრულყოფილი ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ბაზის შექმნა და განვითარება

სტრატეგიული ამოცანები:

3.1 აუდიტორთათვის სრულყოფილი პროგრამული პაკეტის უზრუნველყოფა

3.2 თანამედროვე IT ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება

აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში სას–ის მიზანს წარმოადგენს IT აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელი ელექტრონული სისტემის დანერგვა და განვითარება სათანადო ტექნიკური ინფრასტრუქტურის ბაზის შექმნით, რაც გულისხმობს შესაბამისი პროგრამული ლიცენზიებისა და მათი დანერგვისათვის საჭირო სერვისების შეძენას.

სას–ი გეგმავს COBIT–ისა და CAATs–ის აუდიტორული პროგრამების ლიცენზირებული ვერსიების მოპოვებას, ამასთანავე, დაგეგმილია IT აუდიტისათვის საჭირო პროგრამული ბაზის შექმნა. თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ინტეგრაცია ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს საჯარო სექტორის ელექტრონულ სისტემებში თაღლითობისა და არასწორი მართვის საკითხების დროულ იდენტიფიცირებას.

გარდა ამისა, სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია აუდიტორებისათვის სრულყოფილი მატერიალურ–ტექნიკური ინფრასტრუქტურის შექმნასა და შემდგომი განვითარება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს აუდიტის ობიექტებიდან მიღებული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და შენახვისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების არსებობა ორგანიზაციაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას, როგორც მონაცემთა მოძრაობისა და შენახვის უსაფრთხოება, ასევე, მათი ანალიზისა და დამუშავების პროცესის სისწრაფე.

4. IT აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა

სტრატეგიული ამოცანები:

4.1 სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მონაცემთა ბაზების აუდიტი;

4.2 სახელმწიფო ელექტრონული სისტემებისა და სერვისების აუდიტი;

4.3 E-governance-ის ფარგლებში შეგუშავებული ინოვაციებისა და სერვისების აუდიტი;

მიზნის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს IT აუდიტის ორგანიზაციული შესაძლებლობების ეტაპობრივ განვითარებას. აღნიშნული გულისხმობს თავდაპირველად ნაკლებად კომპლექსური საინფორმაციო სისტემების აუდიტს, რასაც შემდგომში მოყვება რთული

და ურთიერთდამოკიდებული სახელმწიფო სერვისებისა და ელექტრონული მთავრობის სხვადასხვა სისტემების აუდიტი.

სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, სას–ი გეგმავს სახელმწიფო მნიშვნელობის მონაცემთა ბაზების საპილოტე აუდიტს, რომელიც ერთობლივად ჩატარდება პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად. აუდიტი მოიცავს სამთავრობო უწყებებში დაცული იმ შიდა და საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზების აუდიტს, რომელსაც გავლენა აქვს სახელმწიფო სერვისების ეფექტიან მიწოდებაზე. აუდიტის ფარგლებში მიღებული გამოცდილება ხელს შეუწყობს სამსახურს, ჩაატაროს უფრო კომპლექსური IT სისტემების აუდიტი.

მეორე ეტაპზე, სას–ი IT აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდას გეგმავს საშუალო სირთულის მქონე სახელმწიფო სერვისების აუდიტით. აღნიშნული მიმართულებით ჩატარდება არა მხოლოდ უწყებათა მონაცემთა ბაზების აუდიტი, არამედ ელექტრონული სერვისების კომპლექსური აუდიტი, რომელიც მოიცავს მათი უსაფრთხოების, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ანალიზს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გეგმავს, ასევე, არსებული და სამომავლოდ დაგეგმილი ელექტრონული სერვისების ერთიანი სისტემის აუდიტს, რაც გულისხმობს სახელმწიფო სტრუქტურების მონაცემთა გაცვლისა და სერვისების მიწოდების IT აუდიტს. აღნიშნული აუდიტით სას–ი ხელს შეუწყობს ელექტრონული მმართველობის ადმინისტრირებისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

5. სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებით ინოვაციების შემუშავებასა და დანერგვის პროცესის მხარდაჭერა

სტრატეგიული ამოცანები:

5.1 INTOSAI WGITA ჯგუფში გაწევრიანება;

5.2 სახელმწიფოს საინფორმაციო ტექნოლოგიური გარემოს მონიტორინგი;

5.3 საჯარო სექტორში საინფორმაციო ტექნოლოგიური სიახლეების შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება;

5.4 საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა;

სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავისი მანდატისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით გეგმავს აქტიურ თანამშრომლობას სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რითაც წვლილს შეიტანს როგორც არსებული გამოწვევების დაძლევაში, ასევე, ორგანიზაციულ ზრდასა და განვითარებას.

აღნიშნული მიზნის ფარგლებში უპირველეს ამოცანას წარმოადგენს INTOSAI-ს WGITA-ს (IT აუდიტის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი) გაერთიანებაში გაწევრიანება. აღნიშნული ჯგუფი წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის მეორ ჩამოყალიბებულ ჯგუფს, რომლის მიზანია IT აუდიტის განვითარება და ინოვაციების დანერგვა. აღნიშნულ ჯგუფში ინტეგრაცია სას-ს მსოფლიოს წამყვანი აუდიტორული ოფისების თანამედროვე და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას მისცემს. ამასთანავე, ჩვენი მიზანია IT აუდიტის სფეროს განვითარებაში წვლილის შეტანა საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებში მონაწილეობის გზით.

სას-ის მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფოს საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების განვითარებას, რისთვისაც პირველ ეტაპზე დაგეგმილია IT კითხვარების შემუშავება. აღნიშნული კითხვარები შესაძლებელს გახდის საჯარო სექტორში არსებული IT გარემოს, გამოწვევებისა და რისკების იდენტიფიცირებას. ამასთანავე, კითხვარები საშუალებას

მისცემს სას–ს ფინანსური, შესაბამისობის, ან ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების პროცესშივე მოახდინ უწყებებში არსებული IT გარემოს ზოგადი შესწავლა, რისკების იდენტიფიცირება და შემდგომი აუდიტის შესაბამისი მიმართულებით დაგეგმვა. გარდა ამისა, გარემოს ანალიზისა და რისკების იდენტიფიცირების შემდგომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულების ზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, საშუალებას მისცემს სას–ს მუდმივი მონიტორინგის გზით მოახდინოს არსებული რისკების განეიტრალება და შესაძლო საფრთხეების პრევენცია.

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ–ერთი მიზანია სახელმწიფო უწყებებში IT ინოვაციებისა შემუშავებისა და დანერგვის პროცესის მხარდაჭერა. ამ მიმართულებით სამსახურის ამოცანას წარმოადგენს აღნიშნული ინოვაციებისა და ახალი სერვისების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის შესახებ გამართულ კონსულტაციებში მონაწილეობა და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება.

6. სას–ის ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა IT ინოვაციების დანერგვის მიმართულებით

სტრატეგიული ამოცანები:

6.1 ორგანიზაციის შიგნით IT ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა ;


6.2 სას–ის მონაცემთა ბაზებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდაჭერა;

ჩვენი მიზანია საჯარო სექტორის ელექტრონული სისტემების განვითარების მხარდაჭერასთან ერთად წვლილი შევიტანოთ სას–ის ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარებაში. ამ მიმართულებით IT აუდიტის საკოორდინაციო ჯგუფი გეგმავს მსოფლიო ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობას ორგანიზაციის შიგნით.

ამ მიზნის ფარგლებში დაგეგმილია, როგორც არსებული ელექტრონული სისტემების (აუდიტის ბარათი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა, დროის მართვისა და აღრიცხვის სისტემა და სხვა) შემდგომი განვითარება, ასევე, ახალი აპლიკაციების შემუშავება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სას-ის ადამიანური და დროითი რესურსების ეფექტიან მართვას, ასევე, მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის პროცესის გაუმჯობესებას და შიდა საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოების გაზრდას.



საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის განვითარების 2014 – 2017 წლების
სტრატეგიული გეგმის ინდიკატორები



3. IT აუდიტისათვის სრულყოფილი ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ბაზის შექმნა და განვითარება

3.1 აუდიტორთათვის სრულყოფილი პროგრამული პაკეტის უზრუნველყოფა

შემენილი და მოპოვებული ლიცენზირებული IT აუდიტორული პროგრამები

3.2 თანამედროვე IT ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება

IT აუდიტისათვის აუცილებელი ტექნიკური მოწყობილობები და აპარატურა

4. IT აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა

4.1 სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მონაცემთა ბაზების აუდიტი;

სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მონაცემთა ბაზების ჩატარებული აუდიტების რაოდენობა

4.2 სახელმწიფო ელექტრონული სისტემებისა და სერვისების აუდიტი;

სახელმწიფო ელექტრონული სისტემებისა და სერვისების ჩატარებული აუდიტების რაოდენობა

4.3 e-governance-ის ფარგლებში შემუშავებული ინიციატივებისა და სერვისების აუდიტი;

e-governance-ის ფარგლებში შემუშავებული ინიციატივებისა და სერვისების ჩატარებული აუდიტების რაოდენობა;

